BPN
Business Professionals Network

ძლიერი მეწარმეობა საქართველოში

Nr. 3/ 2019

საინფორმაციო ცნობარის ამ გამოცემაში:

- კრიზისების გადალახვა რეზერვების დახმარებით - ჯიბის დანების შვეიცარიელი მწარმოებლების - ვიქტორინოქსის და ვენგერის სწავლებები

- რას ნიშნავს იყო პროფესიონალი

- სიახლეები ბიზნეს აკადემიიდან

დანიელ მათერი, ოპერაციული დირექტორი

BPN Georgia

კრიზისების გადალახვა რეზერვების დახმარებით - ჯიბის დანების შვეიცარიელი მწარმოებლების - ვიქტორინოქსის და ვენგერის სწავლებები

კრიზისი მეწარმის ცხოვრებისეული ციკლის შემადგენელი ნაწილია. მხოლოდ დროის საკითხია, როდის დაუდგება მას ასეთი პერიოდი და როგორ დაიძვრენს მისგან თავს. კრიზისის პირობებში რამდენი ხანი გაძლებს საწარმო იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ბევრი სარეზერვო თანხა აქვს გადადებული. ამისი ნათელი მაგალითიები არიან ჯიბის დანების შვეიცარიელი მწარმოებლები ვიქტორინოქსი და ვენგერი.

2001 წლის 11 სექტემბერი შვეიცარიული დანების წარმოებაში ყველაზე მძიმე დღედ აღიარეს. საერთაშორისოდ ეს დღე ცნობილია როგორც «Original Swiss Army Knife». მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ პენტაგონსა და ამერიკის სავაჭრო ცენტრზე თავდასხმების და თვითმფრინავების გატაცების შემდეგ ჯიბის დანების ატანა თვითმფრინავებში ერთ დღეში აიკრძალა, რადგან აეროპორტებში უსაფრთხოების ნორმები ზედმეტად გამკაცრდა და მგზავრებსაც შესაბამისად უარის თქმა მოუწიათ მსგავსი ტიპის ნივთების წაღებაზე, რომლებსაც ხშირ შემთხვევაში აეროპორტში გაფრენამდე იძენდნენ. ასე გაქრა მსოფლიო მასშტაბით Duty Free - ს მაღაზიებიდან ვიქტორინოქსის დანები და მწარმოებლისთვის რეალიზაციის ეს არხიც. მწარმოებლის საწყობები გაივსო უკან მობრუნებული პროდუქტებით. ბევრ მწარმოებელს რეალიზაციის სხვა არხები არც კი ესახებოდა პერსპექტივაში.

შედეგად ჯიბის დანების ორივე მსხვილ მწარმოებელს ვიქტორინოქსს

და ვენგერს ერთი მესამედით შეუმცირდა ბრუნვა.

შექმნილი ვითარების გამო ვენგერის ფირმას თანამშრომლების შემცირება მოუწია, 280-დან 140-მდე. დარჩენილი თანამშრომლებიც ნახევარ განაკვეთზე გადაიყვანეს.

იგივე პრობლემების წინაშე დადგა ევროპის ყველაზე დიდი დანების მწარმოებელი ვიქტორინოქსიც,

მაგრამ ვიქტორინოქსმა მაინც მოახერხა სამუშაო ადგილების შენარჩუნება, მიუხედავად იმისა, რომ ეს კომპანია ბრუნვის 70% ჯიბის დანების წარმოებიდან იღებდა. როგორ შეძლო მან ასეთი გარღვევის ფონზე სამუშაო ადგილების შენარჩუნება?

ვიქტორინოქსი ყოველთვის ზოგავდა თანხებს შავი დღისთვის. ის მისი მოგების დიდ ნაწილს რეზერვის სახით ინახავდა ნაცვლად იმისა, რომ კეთილდღეობის პერიოდში მოჭარბებული თანხა სტრუქტურების და სამუშაო ადგილების გაფართოებაში დაეხარჯა, რომელიც ძნელბედობის ჟამს ისედაც გაუქმდებოდა.

ასე რომ 11 სექტემბერს მოქნილი დივერსიფიკაციის წყალობით ვიქტორინოქსმა შეძლო და მოერგო მომავლის გამოწვევებს და დაიმატა ახალი მიმართულებები, როგორებიცაა საათებისა და სამგზავრო ჩანთების წარმოება.

მეორე მხრივ ზეგანაკვეთური საათების გაქვითვა მოხდა. თანამშრომლები სხვადასხვა განყოფილებებში გადაანაწილეს. მძიმე პერიოდში თანამშრომლებმა მომდევნო წლის ერთ კვირიანი შვებულებაც გამოიყენეს სამუშაოს სასარგებლოდ. არც ერთი თანამშრომელი არ გაუშვიათ სამსახურიდან. პირიქით, კადრების ხელმძღვანელს სხვა კომპანიიდანაც კი მოუწია რამდენიმე თანამშრომლის დროებით დაქირავება, რათა გამკლავებოდნენ მსხვილ შეკვეთებს.

სარეზერვო თანხა ფირმამ სასწრაფოდ აითვისა აზიასა და სამხრეთ ამერიკის ახალი ბაზრების შესწავლასა და რეკლამაში. ამ სტრატეგიამ გაამართლა. ახალი მიმართულებებში დივერსიფიკაციის გზით ფირმამ მოახერხა მომდევნო წლისთვის ბრუნვის გაორმაგება.

მას შემდეგ საწარმოს მიზნებში პრიორიტეტი გარანტირებული სამუშაო ადგილების უზრუნველყოფას უკავია. ვიქტორინოქსმა დააარსა ფონდი, რომელიც ფირმის 90% -იან სააქციო კაპიტალს შეიცავს. ფონდის შექმნის მიზანია, შეუზღუდოს აქციონერებს დიდი დოზით დივიდენდების გატანა და დაიცვას ფირმა მემკვიდრეებს შორის კონფლიქტებისგან. ეს ყველაფერი იმის აუცილებელ პირობას ქმნის, რომ მომავალშიც დიდი რაოდენობის რეზერვები იქნას გადადებული, რის ხარჯზეც თავიდან აირიდებენ მუშახელის სამსახურიდან გაშვებას ეკონომიკური რყევების დროს.

რაც შეეხება ვენგერს, სექტემბრის მოვლენები მისთვის დასასრულს ნიშნავდა. 2005 წელს ფირმამ თავი გადახდისუუნაროდ გამოაცხადა და გაყიდვის საფრთხის წინაშე დადგა. უცხოელი ინვესტორების

ხელში მოხვედრისგან დაცვის მიზნით ვიქტორინოქსმა მისი ერთი ნაწილი გადაიბარა და მან ესეც რეზერვების დახმარებით მოახერხა.

რას ნიშნავს იყო პროფესიონალი

ინგლისური ენის სპეციალისტად ნინო ღარიბაშვილი უკვე წლებია მუშაობს, მაგრამ მხოლოდ შარშან 2018 წელს გადაწყვიტა, პროფესია ბიზნესად აქციოს. როგორც თვითონ იხსენებს, იდეა წლების განმავლობაში უტრიალებდა თავში, მაგრამ საბოლოო მუხტი მისცა BPN Georgia - თან გავლილმა ტრენინგმა - ბიზნეს გეგმის შედგენა. გამართულ ღონისძიებაზე ლინგვისტურ მეცნიერებათა დოქტორანტმა, გამოცდილმა ლექტორმა და რეპეტიტორმა გააცნობიერა, რომ ენების სასწავლო ცენტრის გასახსნელად უკვე ყველაფერი აქვს და მოქმედების დრო დადგა.

დღეს ნინო ქალაქ გორის ენების ინოვაციურ აკადემიას ხელმძღვანელობს. გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი წლის თავზე მისი სასწავლო ცენტრი უკვე რამოდენიმე დასაქმებულს და რამოდენიმე ათეულ სტუდენტს ითვლის. ასევე, წარმატებით განხორციელდა საზაფხულო ბანაკის პროექტი და იხსნება პირველი ფილიალი ქალაქ კასპში. ეს ყველაფერი ერთი წლის განმავლობაში კაპიტალური ინვესტიციის გარეშე მართლაც შთამბეჭდავია. მით უმეტეს ისეთ ბაზარზე, როგორიც ინგლისური ენის სწავლებაა. ინგლისური ყველაზე მოთხოვნადი უცხო ენაა, შეთავაზებებით გაჯერებულია ყველა ქალაქი, ასევე ონლაინ სივრცე, მაგრამ ენების ინოვაციური აკადემია წარმატებით ახერხებს ადგილის დამკვიდრებას და აქცენტს ინტენსიურ ზრდაზე აკეთებს. მომხმარებელთა ძირითად ჯგუფს ქალაქ გორის საშუალო სკოლების მოსწავლეები წარმოადგენენ, თუმცა, ზოგადი კურსების პარალელურად აკადემია სთავაზობს სპეციფიურ პროგრამებსაც, მათ შორის IELTS და TOEFEL გამოცდებისთვის მომზადებას, დარგობრივ ინგლისურს ჰორეკა სექტორისთვის, ასევე ინტენსიურ და განვრცობილ ბიზნეს ინგლისურის კურსებს. სასწავლო ცენტრს პერიოდულად სტუმრობენ მოწვეული ლექტორები, ვისთვისაც ინგლისური მშობლიურ ენას წარმოადგენს. ისინი საკვირაო სკოლის ფორმატში უზიარებენ სტუდენტებს გამოცდილებას. ეწყობა ტელეხიდებიც, რომლის ფარგლებშიც ხდება სხვა ქვეყნებში მდებარე ინგლისურის სასწავლო ცენტრებთან ონლაინ კომუნიკაცია. სწავლის პროცესი დინამიურად საერთაშორისოდ აღიარებული ინოვაციური მეთოდოლოგიის გამოყენებით მიმდინარეობს. ILA-ში ინგლისურის სწავლის მსურველთა ნაკადი არასდროს წყდება.

რა არის ნინოს წარმატების საიდუმლო? მაღალი დონის პროფესიონალიზმი. ის თითქოს დაბადებულია ინგლისურის მასწავლებლად და სისხლში აქვს გამჯდარი თითოეული სიტყვის, თითოეული გრამატიკული წესის ახსნის უნარი. მას უყვარს თავის პროფესია და საქმეს სიამოვნებით აკეთებს, ამიტომაც მასთან თავს კომფორტულად გრძნობს როგორც სტუდენტი, ასევე დასაქმებული.

ნინო მუდმივად ზრდაზეა ორიენტირებული, 2020 წლისთვის მას არანაკლებ ამბიციური მიზნები აქვს: სამეცნიერო ხარისხის მოპოვება, საზაფხულო სკოლისთვის საერთაშორისო სტატუსის მინიჭება და კიდევ ერთი ევროპული ენის კურსის შეთავაზება მომხმარებლისთვის.

წარმატებას ვუსურვებთ ენების ინოვაციურ აკადემიას მის ახალგაზრდა გუნდთან ერთად!

„განათლება არის ყველაზე ძლიერი იარაღი, რომელიც შეგიძლია გამოიყენო მსოფლიოს შესაცვლელად .''

ნელსონ მანდელა (1918 - 2013)

ბიზნეს აკადემია

სოციალური მედია მარკეტინგი

28.09.19 - 29.09.19

ამ სემინარზე უამრავი პრაქტიკული მაგალითით ვსწავლობთ Facebook, Instagram, Youtube & Co - ის მიზანმიმართულად გამოყენებას უფრო მეტი მომ-ხმარებლის ყურადღების მისაპყრობად, არსებულ მომხმარებლებთან ურთიერთობის შესანარჩუნებლად და საწარმოს პოზიციის გასაძლიერებლად.

ბიზნეს ადმინისტრირების საფუძვლები

05.12.19 - 07.12.19

სემინარი აცნობს მონაწილეებს საწარმოს მართვის უმნიშვნელოვანეს ხელსაწყოებს და პრაქტიკაში მათ გამოყენებას. მონაწილეები ხვეწავენ ბიზნეს გეგმას და ამ გზით ქმნიან ბიზნესის განვითარების სახელმძღვა-ნელოს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასევე სწორი სამე-წარმეო ღირებულებების განსაზღვრას.

სოფიკო შოშიაშვილი

ბისპოუქის პიჯაკები

«მე მომწონს მეგობრული ატმოსფერო, გუნდური სუ-ლისკვეთება და პრეზენტაციების გაკეთების შესაძლებ-ლობა. დაინტერესებული ვარ შემდგომი სემინარები-თაც.»

გოჩა ბუქვაიძე

თუშეთი თრეველინგ. ჯორჯიან ტურს

«სემინარი ძალიან საინტერესო იყო. სწრაფი ბიზნეს გეგმა დამეხმარება მომავალში უკეთ დავგეგმო და განვახორციელო ჩემი საქმიანობა.»

რეგისტრაცია საიტზე www.bpngeorgia.ge ან ტელ. 599 87 93 41

BPN Georgia, გ. ახვლედიანი ქ. 5
0108 თბილისი
032 2 92 20 26, 599 87 93
info@bpngeorgia.ge